

**EKATERINE GABASHVILI'S IDEOLOGICAL BELIEFS FOR THE PRESENTATION OF
CERTAIN TYPES OF THE FACES OF INCAPABLE WOMEN
IN THE NOVEL "DID-KHEVA" ¹**

ეკატერინე გაბაშვილის იდეური მრწამსი „ფრთაშეკვეცილ“ ქალთა ზოგიერთი სახის
წარმოჩენისთვის ნოველა „დიდ-ხევაში“ ²

Tinatini Dzodzuashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Doctoral student of the Faculty of Philological Sciences,
St. Tbilisi, Petre Kavtaradze #36, 0186, Georgia,
+995 59503 43 02, tinatini.dzodzuashvili425@hum.tsu.edu.ge,
<https://orcid.org/0009-0006-7653-6129>

Abstract. Ekaterine Gabashvili is one of the important writers of Georgian literature of the beginning of the 19th century and the end of the 20th century. She transferred the actual problems voiced in his civil activism into his writings and thus tried to develop the masses, raise awareness and give the population a push to take effective steps in front of real problems. Ekaterine Gabashvili's work was especially promising for women who had their wings clipped from obeying outdated public thoughts and incompetent traditions. With the example of one specific novel ("Did-Kheva"), the writer's important opinions and progressive ideas for the era are discussed, which were figuratively reflected in the work and with clear examples, became very accessible and understandable for the reader.

Key words: Ekaterine Gabashvili; women's problems; European orientations; progressive ideas.

თინათინი ძოდუაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი,
ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის #36, 0186, საქართველო,
+995 59503 43 02, tinatini.dzodzuashvili425@hum.tsu.edu.ge,
<https://orcid.org/0009-0006-7653-6129>

აბსტრაქტი. მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ეკატერინე გაბაშვილი, რომელმაც თავის სამოქალაქო აქტივიზმში გაქდერებული აქტუალური პრობლემები გადაიტანა მწერლობაში და ამით შეეცადა ფართო მასების განვითარებას,

¹ This research (PHDF-21-5573) has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

² კვლევა (PHDF-21-5573) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ცნობიერის ამაღლებასა და მოსახლეობისთვის ბიძგის მიცემას, ქმედითი ნაბიჯები გადაედგათ რეალური პრობლემების წინაარმდეგ. ეკატერინე გაბაშვილის საქმიანობა განსაკუთრებით იმედისმომცემი იყო მოძველებული საზოგადოებრივი აზრებისა და უუნარო ტრადიციების მორჩილებისგან ფრთაშეკვეცილი ქალებისთვის. ერთი კონკრეტული ნოველის მაგალითით („დიდ-ხევამი“) განხილულია მწერლის მნიშვნელოვანი მოსაზრებები და ეპოქისთვის პროგრესული იდეები, რომლებიც ხატოვნად აისახა ნაშრომში და ნათელი მაგალითებით, მეტად გულშიჩამწვდომი და გასაგები გახდა მკითხველისათვის.

საკვანძო სიტყვები: ეკატერინე გაბაშვილი; ქალთა პრობლემები; ევროპული ორიენტირები; პროგრესული იდეები.

შესავალი. „ფრთადაგლეჯილ“ თუ „ფრთაშეკვეცილ“ ქალთა პრობლემებზე საუბარი ქართული მწერლობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. იგი განაკუთრებით აქტუალური გახდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მწერლობისთვის, როცა ქალთა უფლებებზე, ემანსიპაციასა თუ ელემენტარულად, პიროვნებად აღიარებისთვის აქტიურად იბრძოდნენ როგორც სამწერლობო, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე იმ პერიოდში მოღვაწე აქტიური ქალი-შემოქმედები. აღსანიშნავია ისიც, რომ პრობლემა დღემდე არ აღმოფხვრილა და აქტუალურია. ეკატერინე გაბაშვილი აღნიშნული პრობლემების ლიტერატურაში წამოწევით იმ პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების თანაზიარი გახდა და შეუერთდა მებრძოლ ქალთა უზარმაზარ არმიას, რომლებმაც თავიანთი აქტივობებითა თუ სამწერლობო საქმიანობით უმნიშვნელოვანესი კვალი დაამჩნიეს მათივე ქვეყნის ლიტერატურას და მყარი ფუნდამენტი დაუტოვეს მომავალ თაობებს სამოქმედოდ. ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა ბოლომდე ვერ მოახერხა განთავისუფლება დოგმატური მიდგომებისგან რიგი საკითხების მიმართ და ეკატერინე გაბაშვილის მხრიდან აღნიშნული პრობლემების წინაარმდეგ გალაშქრება იმ პერიოდში, როცა მამაკაცის უფლებები ყველა მიმართულებით დომინანტური იყო, ორმაგად დასაფასებელია.

სტატიაში მოყვანილი ფაქტები, არგუმენტები თუ სხვადასხვა მკვლევართა აზრი ეკატერინე გაბაშვილის სამწერლობო სტილისა და სამოქალაქო საქმიანობის შესახებ ადასტურებს, რომ მისთვის ქვეყნის განვითარების მთავარი ძალა განათლებული ახალგაზრდებით შექმნილი ფუნდამენტი იყო. ფრანგული ენის ცოდნა ეხმარებოდა ორიგინალში გასცნობოდა ევროპულ ლიტერატურას, ფართო მასებისთვის ეთარგმნა იქ გაჟღერებული ტოლერანტული, ჰუმანური და პროგრესული იდეები, რომლებიც ასევე მის შემოქმედებაშიც აისახებოდა მარტივი სიუჟეტებითა და მკითხველისთვის ადვილად გასაგები თხრობით.

ეკატერინე გაბაშვილმა „დიდ-ხევამი“ აღწერა მისი დროების ადამიანები. დაჩაგრული, დაბეჩავებული, სიყვარულ და ცხოვრებაწართმეული ახალგაზრდები. ნოველა „დიდ-ხევამი“ დასმული თითოეული პრობლემა, ავტორის საზოგადოებრივი მრწამსისა და მსოფლმხედველობის თანაზიარია და გამოხატავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე, პროგრესულად მოაზროვნე ქალის ღირსეულ გაბრძოლებას „ფრთაშეკვეცავი“ გარემოებების წინააღმდეგ.

მეთოდები. ეკატერინე გაბაშვილის მრწამსისა თუ აქტიურ სამოქალაქო ცხოვრებაში გაჟღერებული იდეების შედარება და პოვნა ნოველა „დიდ-ხევამი“ დასმულ

პრობლემებთან მრავალწახნაგოვანი კვლევის საკითხს წარმოადგენს, რისთვისაც გამოყენებული იქნა შედარებითი, ანალიტიკური და ჰერმენევტიკული კვლევის მეთოდები; აღნიშნული მეთოდები იძლევა ავტორის მსოფლმხედველობისა და ნაწარმოებში აღწერილ ფრთაშეკვეცილ ქალთა სახის ზოგიერთი ასპექტის გაანალიზების საშუალებას, რისთვისაც დამოწმებული იქნა კონკრეტული პასაჟები ტექსტიდან და ლიტერატურის მკვლევართა ნაშრომები.

შედეგები და მსჯელობა. ფრთაშეკვეცილ ქალთა სახის ზოგიერთ ასპექტებზე სასაუბროდ შერჩეული იქნა ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობა „დიდ-ხევამი“. ნაწარმოებში მიმოხილულია მთავარი თემები, რომელიც შედარებულია თავად ავტორის საზოგადოებრივ საქმიანობასთან და პირად იდეებთან, რაც ადასტურებს, რომ გაბაშვილის შემოქმედებაში დასმული საკითხები რეალური ცხოვრების სურათების ამსახველი იყო, ამასთანავე ისინი წარმოადგენდნენ ქვეყანაში ევროპული პროგრესული იდეების გავრცელების ნათელ მაგალითს. აღნიშნული საკითხები სიღმისეულად აქვს განხილული მკვლევარ კიტა აბაშიძეს (ვ. აბაშიძე „ცხოვრება და ხელოვნება“), რომლის ნაშრომიც კარგი საფუძველი შეიქნა სხვა მკვლევართათვის მომდევნო მსჯელობებისას. ეკატერინე გაბაშვილის აქტიური სამოქალაქო ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვანი ფაქტების მოსაყვანად, მის შემოქმედებაში არსებული ფსიქოლოგიური ტენდენციების გასააზრებლად თუ წამოჭრილ პრობლემათა სახელდებისთვის გამოყენებული იქნა ქეთევან ირემადის ნაშრომი „ლიტერატურული მედალიონები“ და ი. კიკნაძის „ეკატერინე გაბაშვილის თხზულებათა ენა და სტილი“. მისი შემოქმედების ძირითად მოტივებზე, ქალთა როლსა და დანიშნულებაზე სასაუბროდ საინტერესო ნაშრომი იყო ეკატერინე გაბაშვილის „რჩეული ნაწერები“ გ. თავზიშვილის წინასიტყვაობით. ავტორის მიერ გავლილი გზის, ბავშვობისდროინდელი ტრამვებისა თუ პირადად თავს გადამხდარი ისტორიების გასაცნობად საინტერესო ინფორმაციას იძლევა ეკატერინე გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობანი, რომელსაც მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული მასალა აქვს წამდვარებული გაბაშვილის მოგონებებიდან და სხვ. ეკატერინე გაბაშვილის ცხოვრებაში მომხდარმა თითოეულმა ფაქტმა გავლენა იქონია ავტორის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე და გარკვეული ფორმით აისახა კიდევ მისსავე შემოქმედებაში, ამიტომაც მსგავსი ინფორმაციის გაცნობა საინტერესო მასალას წარმოადგენს მკვლევართათვის, მათშორის გენდერული საკითხების კვლევით დაინტერესებულთათვის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი და მე-20 საუკუნის დასაწყისი მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული მწერლობისთვის. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ახალი ლიტერატურული მიმდინარეობები, სამწერლობო ასპარეზზე გამოვიდნენ ახალბედა შემოქმედები, რომლებმაც განსხვავებული თემებითა და სიაუჟეტებით გაამდიდრეს ლიტერატურა.

„მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი უტყუარი თავდებია იმისა, რომ ჩვენი მწერლობა წარმატების გზას დაადგა. მე დარწმუნებული ვარ, ასეთი თანდათანობითი წინსვლა საპატიო სახელს მოგვიპოვებს.... [...] თუ ფხიზელი თვალთ შევხედავთ ჩვენის მწერლობის გადასხვაფერებას და მასთან დროთა ბრუნვას, ნათლად დავინახავთ, რომ ცხოვრების ცვალებადობამ დაჰბადა მწერლობის ცვალებადობა და, მამასადამე, ძველთა და ახალ მწერალთა შორის აზრთა სხვადასხვაობაც“ (აბაშიძე, 1971: 300).

ეკატერინე გაბაშვილის ნაწარმოებებში აღწერილი ცოცხალი სურათები მისი ბავშვობის ხატებია, ფრთაშეკვეცილი ცხოვრების წინააღმდეგ გაბრძოლება კი ბავშვობისდროინდელი ტრამვებია. დედით დაობლებული ეკატერინეს აღზრდა ბებია ბარბარემ ითავა, რომელიც დიდად არც განათლებით და არც გულისხმიერებით არ გამოირჩეოდა. შვიდი წლის ეკატერინე გორში, ერთი ჩინოვნიკის ქვრივს მიაბარეს

აღსაზრდელად და წერა-კითხვის სასწავლებლად, რომელიც ბეზის მსგავსად, ასევე არ გამოირჩეოდა დიდი სიყვარულით ბავშვების მიმართ. მხიარულ, ბავშვური სილადით გაბრწყინებულ ეკატერინეს მუდმივად რაღაცას უშლიდა და უკრძალავდა ბეზის დოგმატური აზროვნება-

„არ შეიძლება სირბილი, არ შეიძლება ყვირილი, ბიჭებთან თამაშობა... ქალი ხარ, ქალი კი ისეთი ნაზი, ნარნარი, ყელმოღერებული და სათნო უნდა იყვეს, წმინდა ქალწულ მარიამს ემსგავსებოდესო“ (გაბაშვილი, 1913: 8).

ბავშვისადმი გულცივი დამოკიდებულება და უგნური აღზრდის მეთოდები ეკატერინე გაბაშვილის ცხოვრებაში შემდგომშიც გაგრძელდა, როცა დაქვრივებიდან ორი წლის შემდეგ მამამ სხვა ცოლი შეირთო - გერებისა და ქმრის მიმართ არამოსიყვარულე და არაგულისხმიერი. მთელი ეს ბავშვობისდროინდელი ტრაგედიები ათქმევინებს ეკატერინეს შემდგომში, რომ *„ჩემი სიყმაწვილე თითქმის დაუშრეტელი მწუხარების წყარო იყო“* (გაბაშვილი, 1913: 8). მიუხედავად ყველაფრისა, მისი ცხოვრების ნათელ წერტილს მამა წარმოადგენს, რომელმაც ჩაუნერგა სწავლის სიყვარული და ეხმარებოდა ცხოვრებისეული ქარტახილების დაძლევაში. მამის შეგონებებიდან და წახალისებიდან, მან მუდამ იცოდა, რომ უნდა ესწავლა და ეს ცოდნა სხვებისთვისაც გაეზიარებინა.

1868 წელს, სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ეკატერინე გაბაშვილი გორში დაბრუნდა და ქალთა სკოლა დაარსა. 1870 წელს გაზეთ დროებაში გამოაქვეყნა წერილი „გლეხკაცის აზრი სასოფლო ცხოვრებაზე“, საიდანაც დაიწყო მისი აქტიური სამწერლობო საქმიანობა. პანსიონის დასრულების შემდეგ, ეკატერინე საოჯახო სასწავლებლებში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, დიდი ენთუზიაზმით ასწავლიდა ქალებს წერა-კითხვას. მისივე ინიციატივით მალევე გაიხსნა ქალთა სამრევლო სკოლა. ეკატერინეს სახელთანაა დაკავშირებული ქალთა პროფესიული სასწავლებლების გახსნის იდეაც, რომელსაც დიდი სიხარულით შეხვდა ილია ჭავჭავაძე. პროგრესულად მოაზროვნე და განათლებული ქალი განსაკუთრებით გრძნობდა წერა-კითხვის გავრცელების აუცილებლობას ქალთა შორის, რომელთაც შემდეგ ოჯახები უნდა შეექმნათ და შვილები გაეზარდათ.

ეკატერინე გაბაშვილი ერთ-ერთი პირველი ქალი მწერალი იყო, რომელიც ძალიან განიცდიდა ქალთა უფლებობას, მათ უსიყვარულო და უფუნქციო ცხოვრებას. ამიტომაც მის ნაწარმოებებში აღწერილი ქალი პერსონაჟების პრობლემებზე ხმამაღლა საუბრით, კიდევ ერთხელ აჟღერებს აზრს, რომ ამ დრომოჭმულ ტრადიციებს შეცვლა სჭირდებათ და ისინი ადამიანებისთვის ბედნიერების მომტანნი არ არიან. ის ადამიანის უპირველეს დანიშნულებად სიყვარულით ცხოვრებას მიიჩნევდა. ასევე, ახმაურებს აზრს, რომ რეალური ცვლილებების მოხდენა გაუნათლებელ და სხვათა აზრზე დამოკიდებულ ადამიანებს არ შეეძლოთ. გარემო, რომელშიც ეკატერინე გაბაშვილს მოუწია სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლა, არ იყო ქალთა მიმართ შემწყნარებელი. იმ პერიოდის საზოგადოებაში დამკვიდრებული მასკულინური უპირატესობის გამო, ავტორს ხშირად უწევდა შეურაცხმყოფელ პუბლიკაციებზე პასუხის დაბრუნება:

„რა იდეალი გაქვთ თქვენ (მამაკაცებს), რომ ჩვენ არ თანავუგრძნობთ? რომელ რაზმს გავუძღვეთ ან რომელს მივდიოთ? წადით თქვენ და თუ ვერ მოგყვით, მაშინ გვიკიჟინეთ! და თუ თქვენ თვითონ ტორტმანებთ, მაშასადამე, ორთავეს ერთად, თქვენც და ჩვენც ჯერ ჩანჩალი, უფერულობა, ძილმორეულობა გვხვდა წილად და ერთმანეთს ნურას ვუსაყვედურებთ...“ (ივერია, 1902).

მთელი ცხოვრების მანძილზე ეკატერინე გაბაშვილს სჯეროდა, რომ უკუნეთში სინათლის საუკეთესო შემტანი ქალი იყო და წუხდა, რომ მათ გარემოებები ხშირად ფრთებს აკვეცდა. ამის დასტურია 1911 წელს, მისი მწერლობის 40 წლის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა -

„ცხრამეტი წლის ვიყავ როცა გავთხოვდი, მალე დავწვრილშვილდი (თერთმეტი შვილი მყავდა), ძლიერ ხელმოკლე ოჯახში ვცხოვრობდი, ყოველგვარ თავისუფლებას მოკლებული ვიყავ... მე არ დავმორჩილდი საზოგადო ხვედრს დედაკაცისას, ყმობა და თავშეწირვას კერისას, ამისათვის დიდი ბრძოლა დამჭირდა, მაგრამ ბრძოლისათვის ცოტაოდენი ძალაც შემწევდა... მე იმ ვიწრო კედლებს შუა, რომელსაც ოჯახის დიასახლისობას ეძახიან და რომელიც შთანთქავს ხოლმე ხშირად დედაკაცის სულიერ არსებას, პატარა ჭუჭრუტანა გაუკეთე და იქიდან მუდამ ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი ჩემი ქვეყნის საზოგადო ზრდასა და მსვლელობას...“ (ირემბე, 1945: 94).

ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედების მთავარი თემა გლეხების მძიმე და გაუსაძლისი ყოფის რეალისტური ასახვა იყო. ამ სურათის მთელი სიცხადით წარმოსაჩენად მას გლეხების გვერდით გატარებული ბავშვობის წლები დაეხმარა, რითაც ზუტად გრძნობდა სოფელში მცხოვრები ადამიანების მაჯისცემას. მის ნაშრომებში გვხვდება ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, „ცრუ“ ტრადიციებზე მორჩილება, ხალხის უმეცრებით ახალი აზრებისა და საზოგადოებაში დამკვიდრებული მანკიერი წესების შეტაკება, რითაც ადამიანების პირადი სურვილები, ინტერესები და ბედნიერება იკარგება. მისი ღრმა რწმენით, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა საბოლოო ჯამში პიროვნულ დაკნინებას გამოიწვევდა.

„რამდენი ნორჩი და გაუშლელი სიცოცხლე იღუპება, რამდენი მაღალი გრძნობა, განსაკუთრებით გრძნობა სიყვარულისა, ჭკნება უდროოდ, მხოლოდ იმის გამო, რომ რელიგია ან რომელიმე დახავსებული ტრადიცია ეღობება მას წინ“ (თავზიშვილი, 1953: 14).

ეკატერინე გაბაშვილი სამწერლობო ასპარეზე გამოვიდა მაშინ, როცა ქალთა უფლებები შეზღუდული იყო. იმ პერიოდში ქალი იყო უუფლებო, ოჯახს, ქმარსა და სხვათა ინტერესებს დამორჩილებული არსება, რომლის უმთავრესი საზრუნავიც მხოლოდ ოჯახურ კეთილდღეობასა და ოჯახურ კერაზე ზრუნვა იყო. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი არა მხოლოდ საქართველოში იყო ქალთა მიმართ შეუწყნარებელი, ეს იყო ეპოქის ზოგადი სულისკვეთება და მსხგავსი შეხედულებები გაბატონებული იყო ევროპის მასშტაბითაც. იქაც ქალებს ქმარზე, ზოგადად, მის მფარველ მამაკაცზე (ქმარი, მამა, ძმა) მზრუნველ, ოჯახური კერის ჩაუქრობელ არსებებად მოაზრებდნენ (Rachwalska von Rejchwald, 2010: 12). შეიძლება ითქვას, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი და მე-20 საუკუნის დასაწყისი ამ მხრივ არის გამოფხიზლების ეპოქა და ეს ბუნებრივი ტალღა ქალთა აღიარების, როგორც ადამიანების, როგორც ინდივიდებისა თუ როგორც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრების, მოედო მთელს მსოფლიოს. ამ პროცესებს ბუნებრივად შეუერთდა საქართველოც. ეს არ იყო გვერდიდან დანახული და სხვათა მაგალითების გაზიარების მცდელობა, ქართველ ქალთა გააქტიურება და თავიანთ უფლებებზე ხმამაღლა საუბარი იყო გარემოებებით შექმნილი ბუნებრივი პროცესი. ამიტომაც, ეკატერინე გაბაშვილისა და იმ პერიოდში მოღვაწე სხვა აქტიური ქალების შემოქმედებითი თუ სამოქალაქო აქტივობები გამოწვეული იყო რეალური მოთხოვნილებებიდან.

ეკატერინე გაბაშვილი მისი დროების ფერებს შეულამაზებლად გადმოსცემდა, საუბრობდა სიყვარულზე, როგორც მთავარ და აღმატებულ ძალაზე და ქალთა გულისტკივილსაც ხმამაღლა აჟღერებდა მისი ნაწარმოებების პერსონაჟი ქალების ცხოვრების აღწერით. ეკატერინე გაბაშვილის აზრით, მამაკაცები მეუღლეებში მეგობრებს უნდა ხედავდნენ და არა მათი ბრძანებებისა და სურვილების მორჩილად შემსრულებლებს. ქალს ოჯახურმა ცხოვრებამ ფრთები არ უნდა დააგლიჯოს. როგორც გაბაშვილი ამბობდა, მხოლოდ სამზარეულოსა და სახლში გამოკეტილი ქალი დედობის ფუნქციასაც კი ვერ შეასრულებს ისე, როგორც საჭიროა (შენგელია, 1975: 138).

შეიძლება ითქვას, ეკატერინე გაბაშვილი ფემინისტური იდეების ერთ-ერთი პირველი გამტარებელი იყო საქართველოში. ამიტომაც, განსაკუთრებით საინტერესოა მისი შემოქმედების ქალი პერსონაჟები, რომლებიც ერთი მთლიანი მოზაიკის სხვადასხვა ფორმის და ფერის ფიგურებად ჰყავს წარმოჩენილი. საზოგადოებაში, სადაც ქალი მამაკაცზე დამოკიდებული, მისი პირადი კომფორტის შემქნელად და ოჯახური კერის გამათბობელად ითვლებოდა, ბუნებრივია, მას შეზღუდული ექნებოდა საზოგადო საქმეებში აქტიური ჩართვა და პირადი ინტერესების სასრგელო საქმიანობა.

ეკატერინე გაბაშვილის ნოველა „დიდ-ხევამი“, ისევე როგორც მის სხვა ნაწარმოებებში აღწერილი ახალგაზრდა წყვილების პირადი პრობლემები ავტორს საზოგადოების ტრაგედიამდე ჰყავს დაყვანილი, რითაც კიდევ ერთხელ აჩვენებს ქვეყანას, რომ მოძველებულ წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებსა და გაუნათლებლობით დამძიმებულ ცრურწმენებს არასოდეს არავისთვის სიკეთე არ მოუტანია და საზოგადოების გახალისება, შეცვლა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაც მხოლოდ ამ სიბნელის გაფანტვითა და მოსახლეობაში განათლების დონის ამაღლებით არის შესაძლებელი. ზოგადად, გაბაშვილის პერსონაჟი ქალები იტანჯებიან სიყვარულის აკრძალვით, საზოგადოებაში დაწესებული მორალური კანონებით და უმეტესი მათგანი თვითმკვლელობით ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებით ასრულებს ცხოვრებას. თითქოს ესაა მათი ხსნა და ისინი სხვა გამოსავალს ვერ პოულობენ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ქვეყანაში დამკვიდრებული რელიგიურ-დოგმატური აზროვნებიდან გამომდინარე, ავტორი არ არის თავისუფალი ქალი პერსონაჟების აღწერისას, მიუხედავად იმისა, რომ ეკატერინე გაბაშვილისთვის ქალის როლი მნიშვნელოვანია. ის ფიქრობს, რომ არა მხოლოდ ოჯახის ბედნიერებისთვის აქვს ქალს და განსაკუთრებით, განვითარებულ ქალს მნიშვნელობა, არამედ ქვეყნისთვისაც. მისი ნაწარმოებების პერსონაჟი ქალები ძირითადად გაუბედავები, მორჩილნი და „გარემოების მსხვერპლნი“ არიან („კონა“, „დიდ-ხევამი“, „გურგენაულის ბაბო“, „ორენა და ქუჩი“, „ბეჩავის სიყვარული“, „ნათლისღება ღამეს“, „ბედკრული ეკატერინე“, „ლექსი პროზად“ და სხვ.). ყველა მოთხრობაში სიყვარული, ახალგაზრდები და მათი უანგარო გრძნობები გაიწირა დრომოჭმული შეხედულებების ხარჯზე. ყველა მათგანში გარემოებით შებოჭილი და განწირული პერსონაჟები სიკვდილს ამჯობინებენ (აბაშიძე, 1971: 233). სიკვდილის გზით თავისუფლდებიან ამ ტანჯვისა და მარწუხებისგან, რაც ავტორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროტესტია რეალობის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ავითარებს აზრს, რომ იმ გარემოში, სადაც ადამიანებს არ აინტერესებთ სხვათა გრძნობები, პირადი ინტერესები თუ სურვილები და არ უხარიათ სხვა ადამიანების ბედნიერება, სიკვდილი არის ერთადერთი და ლოგიკური გამოვლინება ამ ტანჯვის დასასრულის.

როდესაც ეკატერინე გაბაშვილის თავდაპირველი მოთხრობები გამოჩნდა იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში, მისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო შეიქნა მკითხველთა და მის შემფასებელთა, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის, აზრი. ილიამ მისი სამწერლობო სტილი ვიქტორ ჰიუგოს სტილს შეადარა, განსაკუთრებით მოთხრობა „დიდ-ხევამი“ (ირემაძე, 1945: 101). რამდენიმე გვერდიან მოთხრობაში ავტორს ბევრი ზოგადსაკაცობრიო პრობლემა აქვს დასმული. მარტივი სიუჟეტური თხრობით, ნათელი მაგალითებითა და ცოცხალი სურათებით აღწერილ პერსონაჟთა პირადი ტრაგედიებით მკითხველში დიდ მოწონებასა და თანაგრძნობას იმსახურებს.

ნოველა „დიდ-ხევამი“ მოგვითხრობს ორი ახალგაზრდის ტრაგიკული სიყვარულის ისტორიას, როცა საზოგადოებაში დაკანონებული წესები წყვეტენ ადამიანთა ბედსა და მომავალს. მაროსა და პავლეს შორეული ნათესაობა აკავშირებდათ - (არასისხლისმირი) „მძახლობა“, როგორც ავტორი ამბობს ტექსტში, რის გამოც მათი შეუღლება შეუძლებელი აღმოჩნდა. მღვდელმა, მისი ზემდგომის მიერ გამოტანილ განაჩენს (რომელიც კრძალავდა

ნებისმიერი სახის ნათესაურ კავშირს ქორწინებაში) გვერდი ვერ აუარა, შეეშინდა თანამდებობის დაკარგვის („გაკრეჭვის“) და თითქმის ჯვრისწერამდე ერთი თვით ადრე უარი უთხრა წყვილს დაქორწინებაზე. ამან მაროსა და პავლეს ძალიან იმოქმედა, თვით სოფელზეც, რომელიც თავიდან გაკვირვებული იყო ამ „საძრახი“ საქმით. მაგრამ პავლე და დედამისი ვერცერთ ინსტანციაში ვერაფერს გახდნენ - უბრალო ხალხი „დიდ კაცებთან“ სალაპარაკოდაც არ მიუშვეს. ყველაზე მარტივი გამოსავალი ოჯახის „ნამუსის შესანახად“ მაროს სხვაზე გათხოვება იყო, თუმცა ქორწილის წინა დღით, დარდისა და მწუხარებისგან დამძიმებულმა პავლემ მარო სიცოცხლეს გამოასალმა. თავადაც იმავე ხანჯლით სურდა სიკვდილი, მაგრამ ვერ მოასწრო, დააპატიმრეს და ორი წლის შემდეგ საპატიმროს საავადმყოფოში გარდაიცვალა უპატრონოდ - „კაცის მკვლელი, პავლე ცოდვისშვილი“.

მოთხრობაში ავტორი რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემაზე საუბრობს, როგორცაა: სწავლისა და შრომის ღირებულება, ბატონების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება თავისი ყმებისა და გლეხების მიმართ, გლეხების მძიმე ცხოვრება მუდმივი შრომისა და ჯაფის მიუხედავად, მოსახლეობის დაბალი განათლების დონე, მათში ფეხგადგმული ცრურწმენები და არაფრისმომცემი წესების პატივისცემა, ქალთა უუფლებო მდგომარეობა და სხვ. რაც უკეთ წარმოაჩენს ნაწარმოების მთავარ სათქმელს, რომ სწორედ ამ უცოდინრობის გამო გასწირეს ორი ახალგაზრდა ტანჯვისა და ტრაგიკული დასასრულისათვის.

ნაწარმოები მთავრდება მკვლევლობით და აქ მსხვერპლია ქალი, თუმცა ის მანამდეც მსხვერპლი იყო, როცა მისი ბედი სხვათა კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული, ამიტომაც არ ამოუღია ხმა ხანჯლის ჩაცემისას, თითქოს მშვიდად მიიღო ეს მოცემულობა, როგორც შვება და დასასრული მისი ტანჯვის. საზოგადოებაში, რომელიც შეზღუდული იყო განუვითარებელი და დოგმატური აზროვნებით, საზოგადოებაში სადაც „დიდ ადამიანებთან“ უბრალო მოკვდავები ვერ შედიოდნენ სასუბროდ და სადაც პიროვნების ბედი სხვათა ხელში იყო, ამ გარემოში ავტორმა გმირების ცხოვრების ლოგიკური დასასრული იპოვა - ისინი იმ გარემოში ცხოვრებას ვეღარ გააგრძელებდნენ, ვერ შეძლებდნენ დამოჩილებოდნენ მათ წესებს და ყოფილიყვნენ ამ საზოგადოების „სრულყოფილი“ წევრები, ამიტომაც მიიღეს სიკვდილი, როგორც აუცილებელი და გარდაუვალი მოცემულობა სულის ხსნისათვის.

„მარო მაღალი და წარმოსადეგი გოგო იყო. მის ხორბლისფერს, გადაშლილ პირისახეს ამშვენებდნენ ორი მაყვლისფერი თვალები, რომელნიც არასოდეს არ სჩერდებოდნენ. ფართო ცხვირი და მსხვილი ალისფერი ტუჩები ლაზათს აძლევდნენ თუმცა, შვენიერს კი არა, მაგრამ ძლიერ სასიამოვნო და ცოცხალ სახეს“..... მარო ჩვიდმეტი წლის საპატარძლო ქალია, მთხოვნელებიც ბევრი გყავს მაგრამ მამამისი სოსოკა მგელაძე არ ჩქარობს ახალგაზრდა ქალის გათხოვებას -, თითქოს გრძნობს, რომ ამისთანა ცოცხალ და მხიარულ გოგოს გათხოვება ფრთებს შეაკვეცს და არ ეშურება თავის ტოროლა ხმა გამოსწყვიტოს ოჯახში“ (ქართული პროზა, 1987: 311).

მაროს მთხოვნელი ბევრი ჰყავდა, მდიდრებიც და კარგი ოჯახის შვილებიც; სოსიკას შეეძლო ნებისმიერი მათგანი აერჩია მისი შვილის ქმრად, მაგრამ გაუგო შვილის სიყვარულს და დასთანხმდა მისი და პავლეს შეუღლებას. აქ სუსტად ჩანს დედის გაბრძოლება, რომელსაც არ უნდა, რომ შვილი ღარიბ კაცს გაჰყვეს და მთელი ცხოვრება იტანჯოს როგორც ის - „*მე ვიცი რა არის გლახას ცოლობა. წელი მომწყვიტა მამაშენის სიღარიბემ და შენც ისე უნდა მოგივიდეს“?* (ქართული პროზა, 1987: 332). ქალი ყოველთვის მთავარი მამომრავებელი ძალა იყო ოჯახის. როგორც ტექსტში ჩანს, სოსიკას ოჯახმაც მისი ცოლის გამრჯეობით ამოიღვა წელი, თუმცა აქ ჩანს მარინეს გულისტკივილი და წუხილი ამ უთანასწორო მდგომარეობაზე, როცა ქმარს ეუბნება, რომ „*შენ მარტო გვარობები ვიყვარდა და ახალი ტანისამოსი, საზრდოზე თავის დღეში არ*

გივიქრია. *სულ ყოველთვის მუშა მე ვიყავ შენს ოჯახში და შენ კი ბატონი. აი ამისთვისაც დავეძღვრედი ახალგაზრდა ქალს*“ (ქართული პროზა, 1987: 330). მარინეს არ სურს, მისმა შვილმაც იგივე ტანჯვა გაიაროს ცხოვრებაში, ამიტომ თანახმაა, ის უსიყვარულოდ გათხოვდეს, მაგარამ შეძლებულ ოჯახში. თავად ავტორიც, მისი პირადი რწმენით, უსიყვარულოდ შეუღლების წინააღმდეგია. ეკატერინე გაბაშვილი აქტიური სამოქალაქო საქმიანობისას ხშირად აჟღერებდა მსგავს შეხედულებებს და, ბუნებრივია, ნაწარმოებშიც პავლეს პირით აღნიშნული იდეა გააჟღერა - „*ეხლა სიყვარული თავიუფალია. ეხლა სიყვარული სირცხვილი როდია! ეხლა სირცხვილი ის არის, თუ უსიყვარულოდ ცოლს შეირთავს ვინმე. მე და შენ რომ ერთმანეთი გვიყვარს, ვის რა დააკლდება?*“ (ქართული პროზა, 1987: 326).

პავლესა და მაროს სიყვარულისთვის ხელისშემშლელ სხვა მრავალთან ერთად წოდებრივი წარმოდგენებიც იყო. დედა ცდილობს პავლე „გონს მოიყვანოს - „...*თუნდაც კანონმა მოგცეს, სოსიკა არ მოგცემს. იმას ისეთი ოჯახიშვილები სთხოვენ მაროს, რომ შენ ბიჭობაში გაზრდილს კარზედაც არ გაგიკარებს.შენ თავადისშვილის სახლში ნამსახური ხარ და ოჯახისშვილი ქალს არ მოგცემს*“ (ქართული პროზა, 1987: 323). თუმცა პავლესთვის არ არსებობს გადაულახავი წინაღობა სიყვარულისთვის - „*ძალით იქნება თუ ნებით, მარო ჩემი უნდა გახდეს...მაროს გულისთვის სოსიკას კი არა, მთას შევეჭიდები. ჩემი სულის ამოცლა კი შეიძლება და მაროს თავის დანებება კი არა*“ (ქართული პროზა, 1987: 323). ტასიას არ უნდა მისი ერთადერთი შვილი დაიტანჯოს. მან საკუთარი გამოცდილებით იცის, რას ნიშნავს აკრძალული სიყვარული. ის, როგორც ძველი ყაიდის ქალი, ცდილობს ეს შემთხვევაც ერთ-ერთ არგუმენტად გამიყენოს პავლესთან. იმედი აქვს, რომ მასში „*ბატონიშვილის*“ სისხლი გაიღვიძებს და მაროს „*ღარ იკადრებს*“, თუმცა პავლეს რწმენა და გრძნობა ურყევი და შეუვალია, მან იცის, რომ მაროს გარეშე ცხოვრებას სიკვდილი ურჩევნია - „*ეჰ რა ცუდად გცნობივარ დედა. ჩემს გულში მაროს სიყვარულს მეფობაც კი ვერ ამორეცხავს*“ (ქართული პროზა, 1987: 323).

უსიყვარულო კავშირის გარდა, ეკატერინე გაბაშვილისთვის მიუღებელი იყო ახალგაზრდა ასაკში დაოჯახებაც, რადგან თვლიდა, რომ ამით ახალგაზრდებს ფრთები ეკვეცებოდათ. საზოგადოება, სადაც მათ უწევდათ ცხოვრება, არ იყო შემწყნარებელი და ქალს არ ეძლეოდა შესაძლებლობა, სწავლა-განვითარება შეეთავსებინა საოჯახო საქმეებისათვის.

ეკატერინე გაბაშვილის საზოგადოებრივი საქმიანობისა და მის სამწერლობო საქმიანობას შორის მცირე პარალელების გავლების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა მოთხოვნის პერსონაჟი ავტორის მთავარი სათქმელის გამჟღერებელია. ნოველა „*დიდ-ხევამიც*“ მარო ეკატერინეს აზრებს ავრცელებს, როცა გათხოვებაზე საუბრობს: „*სხვა კარგი რამა სთქვით, თორემ გათხოვება სად წავა. თონეში ჩაკიდებას კი მოვესწრები, გოგობას კი ველარა*“ (ქართული პროზა, 1987: 314). მთელი აქტიური ცხოვრების მანძილზე ეკატერინე იბრძოდა ახალგაზრდების ადრეულ ასაკში დაოჯახების წინააღმდეგ. მას სურდა, ახალ თაობას განათლება მიეღო, გოგონებს ხელსაქმე ესწავლათ და შეძლებოდათ, საკუთარი თავის მმართველები თავად ყოფილიყვნენ. თავისი შემოქმედებით და ცხოვრებით ცდილობდა დაერწმუნებინა მისი თანამედროვენი თანასწორობის იდეის საჭიროებასა და აუცილებლობაში. მან უამრავ ქალს აუხილა თვალი და მისცა თვითგამორკვევისა და განვითარების ბიძგი.

მხიარული და სიცოცხლისმოყვარე მაროსთვის გათხოვება ნამდვილად ფრთებისშეკვეცა იქნებოდა, თანაც უსიყვარულოდ. საზოგადოებაში, სადაც მას უწევდა ცხოვრება, ეს ერთი ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა; როგორც დედამისი მარინე იხსენებს, სულ არ ჰყავდა სოსიკა ნანახი, ისე შერთეს მას და ამაში გასაოცარს და მიუღებელს ვერაფერს ხედავდა. მიეჩვია ხალხი დადგენილი წესებით ცხოვრებას და ნებისმიერი

მცირედი გადახვევაც კი ამ კომფრომისტული გზიდან, მათთვის უკვე საშიშად აღიქმებოდა.

„რომ გაიგეს სოსია თავის მძახალს აძლევს ქალსო, ძლიერ გაიკვირვებს...ეს პირველი მაგალითი იყო „ნათესაობის“ შერყევისა, ყველას ძალიან გაუკვირდა ამგვარი უღვრთობა და ჩვეულების დარღვევა, მაგრამ კარგი ვახშმის ჭამამ დასძლია ყველანი“. (ქართული პროზა, 1987: 335). სოფლის მაცხოვრებლების დამოკიდებულებებში რიგი საკითხების მიმართ ჩანს, რომ ზოგადად, საზოგადოების უმეტესი ნაწილი „პურის და სანახაობის“ რეჟიმში ცხოვრობს და რეალური პრობლემების თანამგრძნობი მხოლოდ ერთეულები ხდებიან ადამიანებისთვის. ეკატერინე გაბაშვილი ძალიან წუხდა, რომ მარტო საქართველოში და ისიც საქართველოს მიყრუებულ სოფელში, გაუნათლებელ, სიბნელეში ჩაფლულ „სოფელში“, იყო შესაძლებელი ახალგაზრდების დამორება მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც შორეული „მძახლები“ იყვნენ („რომანი დიდ-ხევამი“) ან იმიტომ, რომ ვაჟი ნაშვილები ჰყავდათ მშობლებს („ბეჩავის სიყვარული“), ან რომ უფროს ძმას უფრო ადრე უნდა შეერთო ცოლი („გურგენაულის ბაბო“) (აბაშიძე, 1971: 236) თუ სხვ. აბსურდული მიზეზები.

ეკატერინე გაბაშვილის სამწერლობო და საზოგადოებრივი საქმიანობის თანხვედრის გასააზრებლად, მის ნაწარმოებში გაჟღერებული იდეების განზოგადებისა და ევროპული პროგრესული იდეების კონტექსტში გააზრებისთვის, შერჩეული იქნა მხოლოდ ერთი მოთხრობა „დიდ-ხევამი“, როგორც მეტ-ნაკლებად ბევრი საჭირო საკითხის მომცველი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ავტორის სხვა ნაშრომებიც იმავე სულისკვეთებით არის შექმნილი და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სამწერლობო ასპარეზზე გამოსულ სხვა ავტორთა მსგავსად, ქართული პროზის ევროპული ცვალებადობის მომასწავებელი იყო.

ეკატერინე გაბაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პერიოდში, როცა საზოგადოებრივი აზრი არ იყო თავისუფალი და ბევრი შემაფერხებელი ფაქტორით იყო შეზღუდული. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ლიტერატურაც, როგორც ცხოვრების რეალური სურათების ამსახველი, არ იყო ბოლომდე თავისუფალი. ახალი თემების წარმოჩენა, მათზე ხმამაღლა საუბარი თუ დამკვიდრებული წესების წინააღმდეგ გალაშქრება, ევროპული ნიავის მობერვას ჰგავდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისთვის. მაგრამ არც იმდენად თავისუფალი იყო საზოგადოება, რომ კონა, ქუჩე, მარო, მარინე თუ სხვა ქალები ნაწარმოებებიდან, ამდგარიყვნენ „თემის“ წინააღმდეგ, სოფლის წესებისა და კანონების წინააღმდეგ. ისინი იხოცებიან თავიანთ უძლეულებაში. ზოგიერთ შემთხვევაში, მათი გაბრძოლება და სუსტი პროტესტი, რომელსაც სოფლის ტალახი უღმობლად შთანთქავს, ერთი შეხედვით არაფრისმომცემი იყო ძირეული ცვლილებებისთვის, ამიტომაც ეს ქალები სასოწარკვეთილები, თვითმკვლელობითაც კი ასრულებენ სიცოცხლეს. მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან, როცა გავიდა საუკუნე და პრობლემა ისევ მეტყველია, თითოეული ასეთი „ფრთაშეკვეცილი“ ქალის თუნდაც მცირე პროტესტი და არსებულის წინააღმდეგ გაბრძოლება, ნამდვილად ღირებული და ქმედითი საქციელია. სწორედ მსგავსი ცოცხალი მაგალითებით შეუერთდა ქართული მწერლობა ევროპულ სამწერლობო წრეს.

დასკვნა. დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ „მარტივი ენით“ (კვალი, 1899, #29) დაწერილი მოთხრობები და კონკრეტულად მოთხრობა „დიდ-ხევამი“ ეკატერინე გაბაშვილის მიერ აღწერილი პრობლემები იყო ეპოქალური და აჩვენებდა ქვეყნის განვითარების შედარებით დაბალ დონეს. ტექსტში შემოყვანილი გმირები მსხვერპლნი ხდებიან ცრურწმენებისა და მოსახლეობის ფართო მასების განუვითარებლობის. განსაკუთრებით, სოფლად მაცხოვრებელი ადამიანები ცხოვრობენ სხვათა აზრზე დამოკიდებულნი. მათ შეუძლიათ თავისუფად გაწირონ შვილები ტანჯვითი

ცხოვრებისთვის და სიკვდილისთვისაც კი, ოღონდ მოსახლეობამ ცუდად არ იფიქროს მათზე და ოჯახზე.

ეკატერინე გაბაშვილისათვის ქვეყნის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა და დედაბოძი ახალგაზრდებში იყო. უპირველესად მათ უნდა ჰქონოდათ საკმარისი განათლება თავისუფლად ცხოვრებისთვის. აღნიშნული იდეა ტექსტშიც აქვს გაჟღერებული. პავლე, მართალია, მოსამსახურედ იყო ბატონიშვილის ოჯახში, მაგრამ ის დიდი სიყვარულით იხსენებს, როგორ ასწავლიდა გიორგი მას ყველაფერს, რასაც თავად დაისწავლიდა, სამომავლოდ გამოსაყენებლად - რადგანაც „*შრომა და სწავლა ხელიხელაჩაკიდებული მტრისაგან დაუძლეველია*“ (ქართული პროზა, 1987: 324).

ეკატერინე გაბაშვილისათვის ცხოვრების მთავარ ძალად და საზრისად სიყვარული აღიქმებოდა, რომელსაც შეეძლო ყველა წინააღმდეგობა გადაელახა. მოთხრობა „დიდ-ხევამიც“ მთავარი მოქმედი გმირები იხოცებიან სიყვარულისთვის, რადგან არაფრისმომცემმა რელიგიურმა და ზრენობრივ-მორალურმა კანონებმა მათ ხელი შეუშალა ერთად ცხოვრებაში კანონიერად, უკანონოდ თანაცხოვრების „ნებას“ კიდევ სოფელი არ მისცემდათ. არამხოლოდ ამ მოთხრობით, მისი სხვა ნაწარმოებებშიც, ეკატერინე გაბაშვილი აჟღერებს აზრს, რომ სიყვარული ეწირება განვითარებამოკლებულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ არაფრისმომცემ კანონებს, რომლებიც „ზნეობრივის“, „მორალურისა“ და „ეთიკურის“ საბურველით არიან გარშემორტყმულნი. ახალგაზრდები, რომლებიც სიყვარულისთვის არიან გაჩენილნი, იღუპებიან უბედურები და დატანჯულები, რადგანაც იმ საზოგადოებაში მათი გაბრძოლება სიბნელეში კატის დაჭერას ჰგავს.

საზოგადოების დამკვიდრებულ, არაფრისმომცემ, „მორალურ“ კანონებს ეწირებიან როგორც მამაკაცები, ისე ქალებიც, მაგრამ ხშირ შემთხვევაში საზოგადოება ქალთა მიმართ მეტად შეუმწყნარებელია და ეს იყო ეკატერინე გაბაშვილის ერთ-ერთი პროტესტის მიზეზიც. მისთვის მიუღებელი იყო ქალთა და მამაკაცთა განსხვავება ამ კუთხით და დღეს, მის მიერ წარმოთქმული თითოეული პასაჟი თუ დაწერილი მოთხრობა აღნიშნული იდეის გარშემო, შეიძლება მივიჩნიოთ ქართული ფემინისტური მოძრაობის საწყისად, რომელიც სუსტ, მაგრამ ღირებულ ტალღად შეუერთდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულ მსოფლიო ქალთა სამოქალაქო აქტივიზმს. გარემოში, სადაც ინდივიდის ინტერესებს პატივს არ სცემენ, ადამიანს არ შეუძლია ფრთები გაშალოს. ადამიანისთვის მთავარი ფრთების შემკვეცი კი სწორედ დამკვიდრებული შეხედულებაა. ამიტომაც, თითოეული ქალი პერსონაჟი, რომელთა შესახებაც ავტორი ინფორმაციას გვაწვდის ნოველა „დიდ-ხევამი“, სწორედ ფრთაშეკვეცილია გარემოებებიდან გამომდინარე.

ნოველა „დიდ-ხევამი“ დასმული სხვადასხვა პრობლემის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ ის ნამდვილად გამოხატავს ავტორისეულ სულისკვეთებას და მოქმედი გმირების მიერ წარმოთქმული თითოეული პასაჟი არის თავად ეკატერინეს გზავნილი ფართო საზოგადოებისთვის და ქალებისთვის, რომ გამოფხიზლებულიყვნენ, გააქტიურებულიყვნენ, მიეღოთ განათლება და მეტად განვითარებულები შებრძოლებოდნენ უსახურ მოცემულობას, რათა მათთვის ფრთების შეკვეცა ასე მარტივი აღარ ყოფილიყო.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბაშიძე, ვ. (1971). *ცხოვრება და ხელოვნება*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- გაბაშვილი, ე. (1913). *საყმაწვილო მოთხრობანი ეკატერინე გაბაშვილისა*. თბილისი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

- გაბაშვილი, ე. (1953). *რჩეული ნაწერები*. ტომი პირველი. გ. თავზიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- თავზიშვილი, გ. (1953). *ეკატერინე გაბაშვილი, რჩეული მოთხრობები*. ტ. 2. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- ივერია*. (1902). #209.
- ირემადე, ქ. (1945). *ლიტერატურული მედალიონები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.
- კიკნაძე, ი. (1982). *ეკატერინე გაბაშვილის თხზულებათა ენა და სტილი*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- მნათობი*. (1938). #8, აგვისტო.
- ნატროშვილი, გ. (1932). *ეკატერინე გაბაშვილი, რჩეული ნაწერები, მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- ქართული პროზა. (1987). *სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი*. წიგნი XIII. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- შენგელია, გ. (1975). ეკატერინე გაბაშვილი ქალთა პროფესიული განათლების შესახებ. *ცისკარი*.
- წულუკიძე, გ. (1899). ეკატერინე გაბაშვილი, საყმაწვილო მოთხრობანი. *კვალი*. #29.
- Rachwalska von Rejchwald, J. (2010). Femme, pouvoir, espace dans Au bonheur des dames et Une page d'amour d'Émile Zola. *Tangence*, (94), 87–111. <https://doi.org/10.7202/1003491ar>

REFERENCES

- abashidze, k'. (1971). *tskhovreba da khelovneba [Life and art]*. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- gabashvili, e. (1913). *saqmats'vilo motkhrobani ek'at'erine gabashvilisa [Stories for young people]*. Tbilisi: Society for the Spreading of Literacy among Georgians.
- gabashvili, e. (1953). *rcheuli nats'erebi [selected writings]*. Vol. I. Edited and prefaced by G. Tavzishvili. Tbilisi: State publishing.
- tavzishvili, g. (1953). *ek'at'erine gabashvili, rcheuli motkhrobebi [Ekaterine Gabashvili, selected stories]*. Vol. 2. Tbilisi: State publishing.
- iveria [Iveria]*. (1902). #209.
- iremadze, k. (1945). *lit'erat'uruli medalionebi*. [Literary medallions]. Tbilisi: Publishing House „Sabchota mtserali“.
- k'ik'nadze, i. (1982). *ek'at'erine gabashvilis tkhzulebata ena da st'ili*. [Language and style of Ekaterine Gabashvili's writings]. Tbilisi: Publishing House „Ganatileba“.
- mnatobi [Mnatobi]*. (1938). #8, agvist'o.
- nat'roshvili, g. (1932). *ek'at'erine gabashvili, rcheuli nats'erebi, motkhrobebi* [Ekaterine Gabashvili, selected writings, stories]. Tbilisi: Publishing House „Sakhelgami“.
- kartuli p'roza*. [Georgian prose]. (1987). *soprom mgaloblishvili, ek'at'erine gabashvili* [Soprom Mgaloblishvili, Ekaterine Gabashvili]. Book XIII. Tbilisi: Publishing House “Sabchota sakartvelo”.
- shengelia, g. (1975). *ek'at'erine gabashvili kalta p'ropesiuli ganatlebis shesakheb* [Ekaterine Gabashvili about women's professional education]. *tsisk'ari [Tsiskari]*.
- ts'uluk'idze, g. (1899). *ek'at'erine gabashvili, saqmats'vilo motkhrobani*. [Stories for young people by Ekaterine Gabashvili]. *k'vali [Kvali]*. #29.

Rachwalska von Rejchwald, J. (2010). Femme, pouvoir, espace dans *Au bonheur des dames* et Une page d'amour d'Émile Zola. *Tangence*, (94), 87–111. <https://doi.org/10.7202/1003491ar>